ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

დასკვნა:**დ08.37221172**
თარიღი:**27/04/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ -პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიამ განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - პროექტი და დაადგინა:

1. ზემოთ აღნიშნული დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 ერთეული საახალწლო დეკორატიული (მოძრავი) ჯიხურების გადაცემის „ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის“-თვის უსასყიდლოდ განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით.

2. პროექტით განსაზღვრული ზემოთ აღნიშნული დეკორატიული (მოძრავი) 4 ერთეული ჯიხურის ჯამური ღირებულება შეადგენს 18800 (თვრამეტიათასრვაას) ლარს, (ერთი ერთეულის ღირებულება 4700 ლარია).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის“-თვის 4 ერთეული საახალწლო დეკორატიული ჯიხურის გადაცემაზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს მერს მიეცეს თანხმობა.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი